განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიოორგანული ქიმია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
30 მაისი 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოორგანული ქიმია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ქიმიის დოქტორი 0503
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180 (ECTS) კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 02 მაისის №73 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ კორაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ტიტვინიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიოორგანული ქიმია მომზადებულია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბსუ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პერსონალის მიერ. პროგრამა ფუნქციონირებს 2013 წლიდან და გადის აკრედიტაციის პროცესს ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით. სადოქტორო პროგრამა სამწლიანია და მოიცავს 180 კრედიტს, აქედან 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტია და 120 კრედიტი კვლევითი კომპონენტი. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

პროგრამა ორიენტირებულია შავიზღვისპირა რეგიონის მცენარეების შესწავლაზე და მათი გამოყენების ტექნოლოგიების შემუშავებაზე. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით მდიდარი მცენარეთა ნაყოფის შესწავლაზე თანამედროვე ინსტრუმენტალური ანალიზის მეთოდებით.

პროგრამის ძლიერი მხარეა კვლევებში ანალიზის და დაყოფის თანამედროვე მეთოდების (მასსპექტრომეტრია, თხევადი და გაზური ქრომატოგრაფია) აქტიური გამოყენება, აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე თემატიკა. პროგრამა შედარებით სუსტია თეორიულ ნაწილში, ნაკლებად ხდება ექსპერიმენტული მონაცემების სიღრმისეული ანალიზი და დასკვნები მხოლოდ გამოყენებითი ხასიათისაა. გარდა ამისა პროგრამა საჭიროებს კვალიფიციური სპეციალისტებით გაძლიერებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 30 მაისს და დაგეგმილი განრიგის შესაბამისად წარიმართა. ჯგუფში შედიოდა სამი ექსპერტი (რევაზ კორაშვილი, გიორგი ტიტვინიძე და ანი ბილანიშვილი).

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან: უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ყოფილ და მოქმედ დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ლაბორატორიები, აუდიტორია, ბიბლიოთეკა). ვიზიტმა ჩაიარა სამუშაო ატმოსფეროში, ბათუმის უნივერსიტეტის მხრიდან იყო ყველანაირი ხელშეწყობა და მზაობა ვიზიტის სრულყოფილად განსახორციელებლად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხუთიდან ერთ სტანდარტს სრულად შეესაბამება, სამი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ერთი ნაწილობრივ შესაბამისობაშია. ყოველი შეუსაბამობის გამოვლენის და აღწერისას დასკვნაში მითითებულია შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები.

მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გამოვლინდა პერსონალის კომპეტენციის ნაწილში (4.2), არცერთი სტატია არ გამოქვეყნებულა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში ბოლო ათი წლის განმავლობაში. აღსანიშნავია აგრეთვე პერსონალის სიმცირე და ვიწრო სპეციალიზაცია. აქედან გამომდინარეობს კიდევ რამდენიმე მეტნაკლებად მნიშვნელოვანი შეუსაბამობა (ქიმიის კუთხით კვლევების არასათანადო სიღრმე, კვლევის ძალიან ვიწრო არეალი, საგნების არცთუ ისე დიდი არჩევანი და დაბალი ინტერნაციონალიზაცია).

- **რეკომენდაციები**

1. პროგრამის მიზნები არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული არეალის ვიწრო კუთხით შესწავლით (კვლევებში ნაკლებადაა წარმოდგენილი მიზეზ-შედეგობრივი დასკვნები და პარალელები სხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებთან).
2. მსგავსი შინაარსის საგნების (ალკალოიდების კვლევის მეთოდები, ფენოლურ ნაერთთა კვლევის მეთოდები და კვლევის მეთოდები და ხერხები) გაერთიანება, ან მათი შინაარსობრივი დაშორება და განსხვავებული შედეგების გაწერა.
3. პროგრამის მიზნები, შინაარსი, სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია თანხვედრაში უნდა მოვიდეს ერთმანეთთან. ამისთვის უნდა გაღრმავდეს კვლევების ქიმიური ნაწილი, მოხდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლა და/ან აქცენტი გაკეთდეს ახალი ნაერთების აღმოჩენაზე.
4. კვლევის არეალის გაფართოვება.
5. ადეკვატური დამსაქმებლების მოძიება და მათი ჩართვა პროგრამის განვითარებაში.
6. ქართული ენის B2 ან მინიმუმ B1 დონეზე ცოდნის მოთხოვნა უცხოელი სტუდენტებისათვის.
7. მოხდეს შეფასების თითოეული კომპონენტის ქულების დეტალური გაწერა.
8. უახლოეს მომავალში სტატიის გამოქვეყნება იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში და შესაბამისი კომპეტენციის და ნაშრომების მქონე ახალი სპეციალისტ(ებ)ის დამატება.
9. ძირითადი ლიტერატურა სრულად უნდა მოიცავდეს სილაბუსებში შეტანილ საკითხებს და იყოს ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, პროგრამის მონიტორინგი განახორციელოს დამოუკიდებელ მრჩეველთა საბჭომ, რომელიც დროდადრო წარმოადგენს რჩევებს პროგრამის შემდგომ განვითარებასთან და ხარვეზებთან დაკავშირებით.
2. დამსაქმებლისათვის გათვლილი კითხვარის დახვეწა.
3. კვლევის მეთოდებში დაემატოს ბირთვულ მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპიის თეორიული საკითხები.
4. სასწავლო კომპონენტებს დაემატოს ორგანული ქიმია.

5. მეტი ძალისხმევა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით. მაგალითად გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, უცხოელ მკვლევარებთან ერთობლივი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება.
6. ამოღებულ იქნეს სილაბუსებიდან ლექციებზე დასწრების ვალდებულება.
7. ამოღებულ იქნეს სასწავლო კურსებიდან ლაბორატორიული მეცადინეობები.
8. უნივერსიტეტში მომიჯნავე ქიმიური დარგების განვითარება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება მიიღონ ფართო ცოდნა. კონკრეტულად სასურველი იქნება ორგანული ქიმიის ან ბიოპოლიმერების მიმართულების გაძლიერება/ჯგუფის შექმნა;
9. აკადემიური პერსონალის განვითარების უფრო ეფექტური სქემის შემუშავება, რათა არ მოხდეს მხოლოდ იდენტური კომპეტენციის პერსონალის დაგროვება.
10. გაიწეროს კონკრეტულად ამ სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი.
11. პროგრამის ხელმძღვანელის გარდა ხარისხის სამსახურის პასუხისმგებლობაცაა სილაბუსების გადამოწმება, მითითებული ლიტერატურის გადამოწმება, ადეკვატური დამსაქმებლების მოძიება, ინფორმატიული კითხვარების მომზადება და შეგროვილი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი.
12. გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება (უმჯობესია უცხოელი ექსპერტი).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. დოქტორის ხარისხის დაცვისათვის უცხოელი ექსპერტის დასკვნის აუცილებლობა და პროცესის ტექნიკური მხარე.
2. დოქტორის ხარისხის მინიჭებისათვის სტანდარტის ამაღლება (იმპაქტ ფაქტორიანი სტატიის აუცილებლობის შემოტანა). თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნა ძალაში შედის 2018 წლიდან და მოქმედ დოქტორანტებზე არ ვრცელდება.
3. აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსდამთავრებული და ყველა მოქმედი დოქტორანტი დასაქმებულია.
4. უნივერსიტეტის მიერ პერსონალისათვის უფასოდ ხდება ინგლისური ენის კურსების ჩატარება.
5. ლაბორატორიის ხელსაწყოებით დაკომპლექტება, რომლის ბაზაზეც ხორციელდება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, ქართული რეალობისათვის არის უნიკალური.
6. ლაბორატორიების აღჭურვაში სამეცნიერო და სადოქტორო გრანტებთან ერთად უნივერსიტეტის აქტიური მონაწილეობა.
7. ლაბორატორიის აღჭურვილობა, რაც პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის მნიშვნელოვანი ნაწილია, არის თანამედროვე და მრავალფეროვანი.
8. დოქტორანტთა ფინანსური მხარდაჭერა (გრანტები, შიდა დაფინანსება, კომერციული შეკვეთები).
9. ლაბორატორიის კომერციული საქმიანობიდან მიღებული სახსრების ნაწილი ხმარდება სასწავლო პროცესს.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

1. ლაბორატორიის აღჭურვა თანამედროვე ხელსაწყოებით (აღსანიშნავია რომ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების გარდა, აღჭურვის პროცესში აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტი).
2. დოქტორის ხარისხის მინიჭებისათვის სტანდარტის ამაღლება (იმპაქტ ფაქტორიანი სტატიის აუცილებლობის შემოტანა). თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნა ძალაში შედის 2018 წლიდან.
3. 2013 წლის აკრედიტაციის შემდეგ ლაბორატორია გაძლიერდა ახალი ანალიზის ხელსაწყოებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მასსპექტრომეტრი. მასსპექტრომეტრია ანალიზის ძლიერი მეთოდია და საშუალებას იძლევა მოხდეს კვლევის მიმართულებების გაფართოება. მაგალითად, ამ ხელსაწყოთი შესაძლებელია საკვლევ ობიექტებში ახალი ნაერთების აღმოჩენა, რაც 2013 წლამდე არსებული აღჭურვილობით არ იყო შესაძლებელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სამხრეთ კოლხეთის უნიკალური ბიომრავალფეროვნების (აბორიგენული და არაადგილობრივი) და საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსა და მტკნარი წყალსატევების მცენარეული რესურსების კომპლექსური ქიმიური კვლევა მათი რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიზნით, ბიოლოგიური ობიექტების ფიზიოლოგიურად და ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა ქიმიური შედგენილობის შესწავლა, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების თვისობრივი რეაქციების საშუალებით ქიმიურ ნაერთთა კლასის განსაზღვრა, გამოყოფა და იდენტიფიკაცია, სტრუქტურისა და ბიოაქტიურობის კორელაციის შესწავლა, მათგან ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით მდიდარი კონცენტრატების, პრეპარატების, ბუნებრივი საღებავების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება. ○ ასევე, პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, დოქტორანტის კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბება, რომელიც თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობების გამოყენებით დამოუკიდებლად დაგეგმავს და განახორციელებს კვლევებს; შეიძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას, მოიპოვებს უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას, განახორციელებს ინოვაციურ კვლევებს; შეიძენს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გაანალიზების, სინთეზის და შეფასების, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე ჩართვის უნარს, აღიჭურვება ღირებულებათა დამკვიდრების გზების მოძიებისა და სისტემატიური კვლევის უნარით. ○ პროგრამის მიზნები მიღწევადია და ძირითადად შეესაბამება დაწესებულების მისიას და ქიმიის კვალიფიკაციის დოქტორანტურის მიზნებს, თუმცა კვლევითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება არ ხდება პროგრამის მიზნებში აღწერილი და დოქტორანტურისთვის სათანადო სრული სიღრმით. ○ უნივერსიტეტის მიზნებში საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებაა, რაც რთულად გვეჩვენება შედარებით ვიწრო პროფილური პროგრამის პირობებში (კვლევის მიზნები ფაქტობრივად სრულად აგებულია ადგილობრივი ფლორის შესწავლაზე). ბაზრის კვლევის შესწავლა, ძირითადად უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (დასაქმების ბაზრის მასშტაბი, დამსაქმებლების მიერ დოქტორანტურის არსის ვერ გაცნობიერება), ვერ იძლევა ნათელი დასკვნის გამოტანის საშუალებას. რეალურად გამოკითხულ პოტენციურ დამსაქმებლებს დოქტორის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები არ ჭირდებათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების მისია.
- საგანმანათლებლო პროგრამა.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან.
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან
- კითხვარი დამსაქმებლებისთვის

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნები არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული არეალის ვიწრო კუთხით შესწავლით (კვლევებში ნაკლებადაა წარმოდგენილი მიზეზ-შედეგობრივი დასკვნები და პარალელები სხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებთან).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, პროგრამის მონიტორინგი განახორციელოს დამოუკიდებელ მრჩეველთა საბჭომ, რომელიც დროდადრო წარმოადგენს რჩევებს პროგრამის შემდგომ განვითარებასთან და ხარვეზებთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტის ოდენობით, წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო, ხოლო დანარჩენი 120 კრედიტი სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტის სავალდებულო და 15 კრედიტის არჩევით კურსებს, ხოლო კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოქვიუმს და სადისერტაციო ნაშრომს. თითოეული დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, სწავლის დაწყებიდან 2 თვეში ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმებს. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო განრიგი.
- პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამ კომპონენტებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
- დოქტორანტურის პროგრამაში არ არის აუცილებელი იყოს სასწავლო კომპონენტები იმ სახით რა სახითაც წარმოდგენილია მოცემულ პროგრამაში. თუმცა, თუ პროგრამის ხელმძღვანელი ხედავს მათ აუცილებლობას, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:
- საგნები: 1) ალკალოიდების კვლევის მეთოდების, 2) ფენოლურ ნაერთთა კვლევის მეთოდების და 3) კვლევის მეთოდები და ხერხების საკითხები მეტწილად ახდენენ ურთიერთგადაფარვას. ამ სამი კომპონენტის გაწერილი შედეგები სრულიად იდენტურია, შესაბამისად მიზანშეწონილია ამ საგნების შინაარსობრივი დაშორება და განსხვავებული შედეგების მიღწევა, ან მათი გაერთიანება.
- ანალიზის მეთოდებში სასურველია თეორიულად ისწავლებოდეს ანალიზის სხვა მეთოდებიც (მაგ. ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპია), რომელიც დოქტორანტს აუცილებლად დაჭირდება თუნდაც სტატიების გარჩევის დროს.
- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დოქტორანტურის პროგრამაში არ არის აუცილებელი იყოს სასწავლო კომპონენტები ლექციებისა და ლაბორატორიული მეცადინეობების სახით, თუმცა თუ ასეთ პრაქტიკას ადგილი ექნება, ლოგიკური იქნებოდა სასწავლო კომპონენტში ორგანული ქიმიის დამატება.
- დოქტორანტურის პროგრამაში ლაბორატორიული მეცადინეობების არსებობა არ არის მიზანშეწონილი, სასურველია შეიცვალოს სხვა კომპონენტით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- მსგავსი შინაარსის საგნების (ალკალოიდების კვლევის მეთოდები, ფენოლურ ნაერთთა კვლევის მეთოდები და კვლევის მეთოდები და ხერხები) გაერთიანება, ან მათი შინაარსობრივი დაშორება და განსხვავებული შედეგების გაწერა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კვლევის მეთოდებში დაემატოს ბირთვულ მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპიის თეორიული საკითხები. ○ სასწავლო კომპონენტებს დაემატოს ორგანული ქიმია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სადოქტორო პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი კვლევითი კომპონენტია, რაზეც წარმოდგენას შესრულებული და დაგეგმილი კვლევები გვიქმნის. წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში დოქტორანტი იყენებს კვლევის თანამედროვე ქიმიურ მეთოდებს მცენარეული ნედლეულის შესასწავლად. სამუშაო საკმაოდ შრომატევადია და თავისი მოცულობით შეესაბამება სადოქტორო ნაშრომს, თუმცა კვლევის დროს არ ხდება შედეგების სათანადო სიღრმით გაანალიზება-განზოგადება და ნაშრომი ძირითადი შედეგებით და დასკვნებით საკვები პროდუქტების მეცნიერების მიმართულებით (კვალიფიკაციის კოდი 050422) იხრება, რომელიც თავის მხრივ ბიოლოგიის დარგს ეკუთვნის. მსგავსი შინაარსისაა მოქმედი დოქტორანტების თეზისებიც, სადაც ანალიზის გაუმჯობესებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე კვლევებში უფრო მრავალფეროვანი თანამედროვე ანალიზის მეთოდები გამოიყენება, მაგრამ დასახული მიზნები

იდენტურია და მცენარეების ანალიზით და გამოყენების ტექნოლოგიის შემუშავებით შემოიფარგლება. ○ პროგრამის მიზნებში ასახული, მეცნიერულად ყველაზე ღირებული ნაწილი, ფიზიოლოგიურად და ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა სტრუქტურისა და ბიოაქტიურობის კორელაციის შესწავლა, მოცემულ კვლევებში არ ჩანს. აგრეთვე არ ჩანს მცდელობა ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების აღმოჩენის და შესწავლისა, მხოლოდ უკვე ცნობილი ნაერთების იდენტიფიკაცია ხდება თანამედროვე ინსტრუმენტალური მეთოდებით. ○ შესრულებული და დაგეგმილი კვლევითი პროექტები მნიშვნელოვანია და ღირებულ ცოდნას ქმნიან რეგიონის მცენარეებში არსებული სასარგებლო ნაერთების შემცველობაზე და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, მაგრამ მათი სიღრმე ბიოორგანული ქიმიის კუთხით არ არის დოქტორანტურის დონის შესაბამისი. ○ პროგრამის სახელწოდება ზუსტად არ ასახავს პროგრამის კომპონენტების ერთობლიობის შინაარსს. მოცემული შინაარსის პროგრამას უფრო მეტად შეესაბამება სახელწოდება ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი ან ანალიზური ბიოქიმია, სადაც კვლევის ძირითად მიზანს სწორედ ანალიზი წარმოადგენს. თუ პროგრამა დარჩება არსებული სახელწოდებით, მაშინ კვლევები უნდა გაღრმავდეს ქიმიის კუთხით, რათა თანხვედრაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. ○ ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან. ○ ინტერვიუ დოქტორანტებთან ○ დისერტაცია, კოლოქვიუმები, სასემინარო ნაშრომები
რეკომენდაციები: ○ პროგრამის მიზნები, შინაარსი, სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია თანხვედრაში უნდა მოვიდეს ერთმანეთთან. ამისთვის უნდა გაღრმავდეს კვლევების ქიმიური ნაწილი, მოხდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლა და/ან აქცენტი გაკეთდეს ახალი ნაერთების აღმოჩენაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- დოქტორის ხარისხის დაცვისათვის უცხოელი ექსპერტის დასკვნის აუცილებლობა და პროცესის ტექნიკური მხარე.
- დოქტორის ხარისხის მინიჭებისათვის სტანდარტის ამაღლება (იმპაქტ ფაქტორიანი სტატიის აუცილებლობის შემოტანა). თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნა ძალაში შედის 2018 წლიდან და მოქმედ დოქტორანტებზე არ ვრცელდება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- წარმოდგენილი პროგრამა, სასწავლო კურსების გათვალისწინებით, ასევე თავისუფალი კურსები და პრაქტიკები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პროგრამის წარმატებით განხორციელებისას კურსდამთავრებული მიიღებს ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მას კონკურენტუნარიანს გახდის ძირითადად დასაქმების ლოკალური ბაზრისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუ დოქტორანტებთან
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- კვლევის არეალის გაფართოვება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მეტი ინტერნაციონალიზაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსდამთავრებული და ყველა მოქმედი დოქტორანტი დასაქმებულია
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 2013 წლიდან უნივერსიტეტი ახორციელებს მოცემულ პროგრამას, პროგრამას ჰყავს მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული და 7 დოქტორანტი. პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად პროგრამა შემუშავებულია დოქტორანტებისა და დამსაქმებლების ჩართულობით, თუმცა არ მომხდარა ქიმიის დოქტორის კვალიფიკაციის შესაბამისი დამსაქმებლების სწორად შერჩევა. გამოკითხულ და პროგრამის შემუშავებაში ჩართულ დამსაქმებლებს რეალურად ქიმიის დოქტორი არ ჭირდებათ, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას თავისუფლად შეძლებს ქიმიის მაგისტრი. გარდა ამისა, დამსაქმებლებისთვის განკუთვნილი კითხვარი ძალიან ზოგადია და ძნელია მათი ანალიზით რაიმე სასარგებლო დასკვნის გამოტანა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები: ○ ადეკვატური დამსაქმებლების მოძიება და მათი ჩართვა პროგრამის განვითარებაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ დამსაქმებლისათვის გათვლილი კითხვარის დახვეწა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და მეტწილად უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. ○ თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის კრიტერიუმები მოითხოვს დახვეწას. კერძოდ, ქართულის ცოდნა A2 დონეზე არ არის საკმარისი რათა მოხდეს სათანადო კომუნიკაცია აკადემიურ პერსონალთან. საკომუნიკაციოდ ინგლისური ენის გამოყენება ვერ მოხდება, ვინაიდან, როგორც CV-ებიდან იკვეთება, აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი სათანადოდ არ ფლობს ინგლისურ ენას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ მომენტში უცხო ქვეყნის მოქალაქეები არ სწავლობენ ამ სადოქტორო პროგრამაზე და კომუნიკაციის პრობლემა ამჟამად არ დგას, მიღების პირობები სამომავლოდ მაინც დასახვეწია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ დოქტორანტურის დებულება ○ აკადემიური და მოწვეული პირების CV -ები
რეკომენდაციები: ○ ქართული ენის B2 ან მინიმუმ B1 დონეზე ცოდნის მოთხოვნა უცხოელი სტუდენტებისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტის მიერ პერსონალისათვის უფასოდ ხდება ინგლისური ენის კურსების ჩატარება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია, ვინაიდან სამივე საგანი სპეციალობის მიმართულებით საკმაოდ მსგავსია და შესაბამისად მათი ნებისმიერი თანმიმდევრობა იქნება ლოგიკური, თუმცა თვით საგნების საკითხების გადაფარვა არ არის მიზანშეწონილი. ○ პროგრამაში შემავალ კომპონენტებს დაშვების წინაპირობები არ გააჩნია, რაც სადოქტორო პროგრამისთვის ლოგიკურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სასწავლო კომპონენტებში გამოცდაზე დაშვების წინაპირობად მითითებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა და ლექციების 50%-ზე დასწრება, რაც ჩვენი აზრით უსამართლო მოთხოვნაა. თუ სტუდენტი ლექციებზე დაუსწრებლადაც ახერხებს საკმარისი ქულების მოგროვებას, ესე იგი მას საკმარისი ცოდნაც გააჩნია და გამოცდაზე უნდა დაუშვან. სტუდენტი უნდა ფასდებოდეს ცოდნით და არა დასწრებით. ○ სადოქტორო ნაშრომის წინასწარი შეფასება ხდება უცხოელი ექსპერტის მიერ და დადებითი შეფასების შემთხვევაში ხდება სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და წარდგენა. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასება ხდება დარგობრივი სადისერტაციო კომისიის მიერ ფარული კენჭისყრით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ამოღებულ იქნეს სილაბუსებიდან ლექციებზე დასწრების ვალდებულება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტის ზოგად მოთხოვნებს, თუმცა გარკვეული კომპონენტები ტოვებენ კითხვებს: 1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ლაბორატორიული მეცადინეობა სადოქტორო პროგრამისათვის არ არის გამართლებული, შესაბამისად ამ კომპონენტის შეფასებაც ბუნდოვანია, 2. ბუნდოვანია თუ რას წარმოადგენს მინი-პროექტი.
- გამოცდების ქულები არ არის ჩაშლილი, შესაბამისად არ არის ბოლომდე გამჭვირვალე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები.
- საგანმანათლებლო პროგრამა.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან.
- ინტერვიუ სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- მოხდეს შეფასების თითოეული კომპონენტის ქულების დეტალური გაწერა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ამოღებულ იქნეს სასწავლო კურსებიდან ლაბორატორიული მეცადინეობები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა ,,ბიოორგანული ქიმია“ არ არის ახალი, იგი განმეორებით გადის აკრედიტაციის პროცესს. შესაბამისად, სტუდენტთა მიღწევებისა და მათთან ინდივიდუალური მუშაობის ობიექტურად შეფასების მიზნით, ექსპერტებს გვქონდა შესაძლებლობა დოქტორანტებსა და კურსდამთავრებულს შევხვედროდით (7 დოქტორანტი, 1 კურსდამთავრებული). პროგრამის მიხედვით, ვინაიდან ის არ ითვალისწინებს მოდულურ სისტემას და მოიცავს მხოლოდ ერთ მიმართულებას, სტუდენტს თავიდანვე განსაზღვრული აქვს პროფილი. სწავლის დაწყებისთანავე პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრის ფარგლებში დოქტორანტებს ეძლევათ განმარტებები პროგრამის სტრუქტურის, სამეცნიერო და კვლევითი კომპონენტებისა და სხვა აქტივობების შესახებ. თითოეული დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც უნდა განახორციელოს კვლევითი კომპონენტი. აღნიშნული დასტურდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტებთან გასაუბრებითაც. უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო კვლევების სამსახური, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, სტუდენტური თვითმართველობა, სადაც სტუდენტი ღებულობს ინფორმაციას და დახმარებას გაცვლითი პროგრამების, სოციალური პროექტების, სპორტის, კულტურის, დასაქმებისა და სხვა სერვისების შესახებ.

უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული პორტალი, სტუდენტებს პერიოდულად მიეწოდებათ ინფორმაცია საუნივერსიტეტო სიახლეების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილება. ○ გასაუბრება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტში შექმნილია აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების შესრულების გრაფიკი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. გრაფიკის მიხედვით ლექტორები სტუდენტებს კონსულტირებას უწევენ ყოველკვირეულად.

სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, მათ აქვთ კომუნიკაცია შესაბამის აკადემიურ პერსონალთან. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა დოქტორანტი როგორც დამხმარე პერსონალი ჩართულია საგრანტო პროექტებში, რომლებსაც აკადემიური პერსონალი ხელმძღვანელობს, შესაბამისად სისტემატური საქმიანი კონტაქტი აქვთ მათთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. აკადემიური პერსონალის კონსულტაციების გრაფიკი; 2. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №2 გადაწყვეტილება - ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; 3. გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასებისა და ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით დაწესებულება აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილებას ასაბუთებს იმ აქტივობებით, რაც უნივერსიტეტში ხორციელდება. ბსუ-ში შექმნილია სტუდენტთა სამეცნიერო კვლევების სამსახური. ფაკულტეტებზე შექმნილია შესაბამისი მიმართულების სამეცნიერო კლუბები, რომელიც ჯერ კიდევ ბაკალავრიატის დონიდან ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას. ტარდება საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები, სადაც პროგრამის დოქტორანტები მონაწილეობას იღებენ როგორც დამოუკიდებლად, ისე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან ცოდნის გაზიარებისა და მათი ხელმძღვანელობის ფორმით.

დღეისთვის ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს "დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრი", რომელიც შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ფარგლებში შეიქმნა. აღნიშნული ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყო–აპარატურით, რაც კარგი ბაზაა კვლევითი ინიციატივების განხორციელებისთვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს რამდენიმე კვლევითი პროექტი, სადაც დასაქმებულები არიან ბიოორგანული ქიმიის პროგრამის დოქტორანტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №1. 25.04. 2017;
2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის N36 დადგენილება;
3. გასაუბრება ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ ჩართულია Erasmus გაცვლით პროგრამებში, რომელთა ფარგლებში ხორციელდება როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მობილობა. სტუდენტებს საზღვარგარეთ საშუალება აქვთ ისწავლონ ისე, რომ შეუნარჩუნდეთ სტუდენტის სტატუსი და დაბრუნებისას აღიარებული იქნას მათ მიერ უცხოეთში ათვისებული კრედიტები.

უშუალოდ ბიოორგანული ქიმიის პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებლებსა თუ დოქტორანტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა არ მიუღიათ, რასაც დაწესებულება თვლის სტრატეგიულად განსავითარებელ საკითხად. თუმცა მათ აქვთ პირადი კონტაქტები უცხოურ უნივერსიტეტებთან (ერთერთი თანამშრომელი იმყოფებოდა ტალინის უნივერსიტეტში), სადაც დაინტერესებულნი არიან მომიჯნავე თემატიკების კვლევით.

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო წლებში საგრანტო პროექტების ფარგლებში მოხდა მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ახალი აპარატურის შეძენა. მასთან მუშაობისთვის სტაჟირების გავლა შეძლო პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების ფართო ჯგუფმა უცხოელი სპეციალისტის ადგილზე მოწვევის გზით.

პროგრამაზე სადისერტაციო ნაშრომების შეფასებისთვის გამოიყენება უცხოელი ექსპერტის შეფასება. დაცვამდე სადოქტორო ნაშრომის ვრცელი, მოცულობითი ანოტაცია ეგზავნება უცხოელ ექსპერტს, რომლის მოძიება/შერჩევა ხდება დაწესებულების მიერ შექმნილი სამეცნიერო ბაზიდან.
მიუხედავად ჩამოთვლილი აქტივობებისა, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მეტი ძალისხმევაა საჭირო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

გასაუბრება ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მეტი ძალისხმევა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით. მაგალითად გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, უცხოელ მკვლევარებთან ერთობლივი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უნივერსიტეტს აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყოებით: მაღალი წნევის თხევადი ქრომატოგრაფით Waters (UV/VisibleDetector 2489, Binary HPLC Pump 1525) (ულტრაიისფერი და ხილული დიაპაზონის დეტექტორით), 2414 RI Detector (რეფრაქტომეტრული ინდექსის დეტექტორით), (Fraction Collector) ფრაქციების კოლექტორით, (სხვადასხვა

სვეტით) -აშშ ; იზოკრატული კონდუქტომეტრული დეტექტორით (Waters Breeze Isocratic Manual 432 Conductivity Detector) (სხვადასხვა სვეტით) -აშშ; აირ-სითხური ქრომატოგრაფით Thermo TRACE 1310 Mainframe 230V (სხვადასხვა სვეტით) -აშშ; ზემაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფიული სისტემა, მასს-დეტექტორით (Waters Acquity UPLC H-Class Core System, Acquity Qda Single Quadupole Mass-Detector) (სხვადასხვა სვეტით)-აშშ ; სუპერკრიტიკული წნევის ფლუიდური ექსტრაქტორი (Waters SFE 100 with) - აშშ; ვაკუუმამაორთქლებლები INGOS (ვაკუუმტუმბოთი); pH-მეტრი Mettler Toledo; ლაბორატორიული კონდუქტომეტრი S230 (Mettler Toledo); რეგულირებადი გამაცხელებლები, ულტრახმოვანი აბაზანა, წყლის თერმორეგულატორი, მნჯღრეველა, დამქუცმაცებელი; ციფრული ანალიზური სასწორები; საშრობი კარადები, მუფელის ღუმელი, ცენტრიფუგა; ინფრაწითელი სპექტრომეტრი Agilent Cari 630 FTIR; სპექტროფოტომეტრი Mettler Toledo UV-5A. ○ უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის რესურსით, დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ უფასო სამეცნიერო ბაზებით (EBSCO - http://search.epnet.com); Cambridge Unioversity Journals-http://journals.cambridge.orp) და BioOne Complete http://www.bioone.org; ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მათ აქვთ თანამედროვე ელექტრონულ ჟურნალებზე წვდომა. სამკითხველო დარბაზი კარგად არის მოწყობილი და შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური მუშაობა, ასევე ჯგუფური მუშაობაც. ადგილზე ვიზიტის დროს სისტემა მუშაობდა შეფერხების გარეშე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს მატერიალური - ტექნიკური რესურსების დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ლაბორატორიის ხელსაწყოებით დაკომპლექტება, რომლის ბაზაზეც ხორციელდება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, ქართული რეალობისათვის არის უნიკალური. ○ ლაბორატორიების აღჭურვაში სამეცნიერო და სადოქტორო გრანტებთან ერთად უნივერსიტეტის აქტიური მონაწილეობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- 2013 წლის აკრედიტაციის შემდეგ ლაბორატორია გაძლიერდა ახალი ანალიზის ხელსაწყოებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მასსპექტრომეტრი. მასსპექტრომეტრია ანალიზის ძლიერი მეთოდია და საშუალებას იძლევა მოხდეს კვლევის მიმართულებების გაფართოება. მაგალითად, ამ ხელსაწყოთი შესაძლებელია საკვლევ ობიექტებში ახალი ნაერთების აღმოჩენა, რაც 2013 წლამდე არსებული აღჭურვილობით არ იყო შესაძლებელი.

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამა განეკუთვნება ქიმიის დარგს, აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი (სულ შვიდიდან ოთხია ქიმიკოსი) არ არის დიპლომირებული ქიმიკოსი, თუმცა მათ მიერ შესრულებული ნაშრომები ფარავენ იმ მიმართულებას რაც წარმოდგენილია სადოქტორო პროგრამაში (როგორც უკვე აღვნიშნეთ პირველ პარაგრაფში სადოქტორო პროგრამა და საკვლევი ობიექტები საკმაოდ ვიწროპროფილურია). ბოლო ათი წლის განმავლობაში აღნიშნული ჯგუფიდან პუბლიცირებულ იქნა სამეცნიერო ნაშრომები სხვადასხვა რეფერირებად ჟურნალებში, თუმცა არცერთი პუბლიკაცია არ არის შესრულებული იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში. რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდილი პუბლიკაციები ნაწილობრივ ადასტურებს აკადემიური პერსონალის კომპეტენციას კონკრეტული საკვლევი ობიექტების მიმართულებით, თუმცა ჩვენი აზრით გაჭირდება დოქტორენატებისათვის ფართო ცოდნის სპექტრის მიცემა.
- უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად (დადგენილება 19, მუხლი 5) იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში სტატიების არქონის გამო პროგრამაში ამჟამად ჩართული ვერცერთი აკადემიური პერსონალი 2018 წლიდან ვერ უხელმძღვანელებს ახალ დოქტორანტს, ამიტომ აუცილებელია მოკლე პერიოდში

იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის დაბეჭდვა და პარარელურად ჯგუფის გაძლიერება შესაბამისი კომპეტენციის და ნაშრომების მქონე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის CV-ები; ○ დადგენილება N19; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან.
რეკომენდაციები: ○ უახლოეს მომავალში სტატიის გამოქვეყნება იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში და შესაბამისი კომპეტენციის და ნაშრომების მქონე ახალი სპეციალისტ(ებ)ის დამატება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ უნივერსიტეტში მომიჯნავე ქიმიური დარგების განვითარება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება მიიღონ ფართო ცოდნა. კონკრეტულად სასურველი იქნება ორგანული ქიმიის ან ბიოპოლიმერების მიმართულების გაძლიერება/ჯგუფის შექმნა; ○ აკადემიური პერსონალის განვითარების უფრო ეფექტური სქემის შემუშავება, რათა არ მოხდეს მხოლოდ იდენტური კომპეტენციის პერსონალის დაგროვება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების აქტიური ხელშეწყობით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. ○ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აცნობიერებს არსებულ პრობლემებს, გააჩნია უნივერსიტეტის განვითარების მკაფიო ხედვა და ეტაპობრივად დგამს სათანადო ნაბიჯებს. ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის (ტრენინგები, კონფერენციები, ინგლისური ენის კურსები) განკუთვნილი ფინანსური უზრუნველყოფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. ○ ინტერვიუ ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან. ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. ○ ინტერვიუ პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან. ○ ინტერვიუ დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სასწავლო მასალა ძირითადად თანამედროვეა.
- საგანში „კვლევის მეთოდები და ხერხები“ მითითებული ძირითადი ლიტერატურა არ ფარავს ორ მნიშვნელოვან წარმოდგენილ საკითხს, კერძოდ ინფრაწითელ და ულტრაიისფერ სპექტროსკოპიას.
- საგანში „ალკალოიდების კვლევის მეთოდები“ სილაბუსში მითითებული ერთადერთი ძირითადი სახელმძღვანელო მითითებულია ონლაინ-ლინკის სახით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ იხსნება და გვერდების ნაწილი არ ჩანს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- ბსუ-ს ბიბლიოთეკის ვებ.გვერდი. https://www.bsu.edu.ge/sub-15/news/index.html
- ელექტრონული კატალოგები.https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php

რეკომენდაციები:

- ძირითადი ლიტერატურა სრულად უნდა მოიცავდეს სილაბუსებში შეტანილ საკითხებს და იყოს ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ლაბორატორიის აღჭურვილობა, რაც პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის მნიშვნელოვანი ნაწილია, არის თანამედროვე და მრავალფეროვანი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელიც მიმართულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე და ასევე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ○ სწავლის გადასახადი არ არის საკმარისი პროგრამის სრულყოფილად დასაფინანსებლად, თანხების ძირითადი ნაწილის მოძიება ხდება შიდა და გარე გრანტების მოპოვებით. თანხების ნაწილის მობილიზება ხდება აგრეთვე კომერციული სერვისებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ○ ინტერვიუ რექტორთან ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ გაიწეროს კონკრეტულად ამ სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ დოქტორანტთა ფინანსური მხარდაჭერა (გრანტები, შიდა დაფინანსება, კომერციული შეკვეთები). ○ ლაბორატორიის კომერციული საქმიანობიდან მიღებული სახსრების ნაწილი ხმარდება სასწავლო პროცესს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ბსუ-ში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობას. ხარისხის სამსახურის ინიციატივით მოხდა პერსონალისთვის იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში პუბლიკაციების აუცილებლობის მოთხოვნა, ასევე განახლდა ლიტერატურა. ○ თუმცა, გამოვლენილი შეუსაბამობების დიდ ნაწილზე პასუხისმგებლობა პროგრამის ხელმძღვანელის გარდა ხარისხის სამსახურსაც ეკისრება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის სამეცნიერო კვლევები-https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ პირებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის ხელმძღვანელის გარდა ხარისხის სამსახურის პასუხისმგებლობაცაა სილაბუსების გადამოწმება, მითითებული ლიტერატურის გადამოწმება, ადეკვატური

დამსაქმებლების მოძიება, ინფორმატიული კითხვარების მომზადება და შეგროვილი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა (სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის, საგამოცდო მასალების, გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი, აკადემიური მოსწრების ანალიზი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და სხვ.) და გარე (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა) შეფასების მექანიზმების გამოყენებით, სისტემატურად ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. თუმცა, ამ პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასება ქართველი ან უცხოელი სპეციალისტების მიერ არ მომხდარა. პრობლემები შეინიშნება პოტენციური დამსაქმებლის სწორად შერჩევაშიც, დამსაქმებლისთვის განკუთვნილი კითხვარიც ძალიან ზოგადია და მათი ანალიზი სასარგებლო დასკვნის გამოტანის საშუალებას ვერ იძლევა (შესაბამისი რეკომენდაცია და რჩევა გაკეთდა დასკვნის 1.1 და 1.5 ნაწილში).

- 2013 წლის აკრედიტაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა დოქტორანტის კოლოქვიუმის, სადოქტორო სემინარის და პროფესორის ასისტენტობის პროექტების დამტკიცება აკადემიურ საბჭოზე.
- SWOT ანალიზში სუსტ მხარედ მითითებულია პროფესორ-მასწავლებელთა მინიმალური მობილობა. პროფესორის ვაკანსიებზე კრიტერიუმების გამკაცრება ხანგრძლივი, მაგრამ სწორი გზაა და გამოიწვევს ახალი კადრების მოზიდვას და პერსონალის კვალიფიკაციის ეტაპობრივ ზრდას. მნიშვნელოვანია, არ მოხდეს მიღების კრიტერიუმების არსებულ პერსონალზე მორგება და ახალი კადრების ხელოვნური დაბლოკვა, რისი პირობაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან საუბარში მივიღეთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება (უმჯობესია უცხოელი ექსპერტი)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიოორგანული ქიმია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

რევაზ კორაშვილი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი ტიტვინიძე, ხელმოწერა

ანი ბილანიშვილი, ხელმოწერა